წერილის ნომერი: **18-01250383475**
თარიღი: **07/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01250313423
წერილის თარიღი:	31 იანვარი, 2025
განმცხადებელი:	აკაკი ჩხაიძე
განაცხადის N	AR11067077
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა ოთარ ჭილაძე, N 9
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.14.007.023
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის ცვლილება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №4295954 (5976313) თარიღი: 10.12.2018 (09.06.2022)
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	3668 კვ. მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თანასაკუთრება
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა გენგეგმა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, **დასარგავად შემოთავაზებული 6 ძირი ჩვეულებრივი იფანი და 6 ძირი ჰიმალაის კედარი, ასევე ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი მწვანე ნარგავები (ჯამში 43 ძირი), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1100.4 კვ.მეტრი).** გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა დაიტანოს გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ჩამონათვალი.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ელექტრონული საგადახდო დავალება No 1778

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 1778

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 25220855293

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator შპს არეა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE21BG0000000529727132GEL	თანხა/Amount 15000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს არეა	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 402202745	საკომისიო/Commission 10 GEL
მიმღების დასახელება/Recipient ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank 25/12/2024
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
გადახდის დანიშნულება/Description შემოწმების აქტი #002728 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		მ.ა. "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

ელექტრონული საგადახდო დავალება No 1778

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 1778

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 25220855293

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator შპს არეა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE21BG0000000529727132GEL	თანხა/Amount 15000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს არეა	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 402202745	საკომისიო/Commission 10 GEL
მიმღების დასახელება/Recipient ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank 25/12/2024
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
გადახდის დანიშნულება/Description შემოწმების აქტი #002728 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		მ.ა. "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/ც2317-24
„20" 12. 2024 წ

დადგენილება №002728
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.12.2024წ.

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა, განვიხილე, 2024 წლის 19 დეკემბრის №002728 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს „არეკ"-ის (ს/ნ №402202745; მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი, №113დ) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა ოთარ ჭილაძე, №9, №01.10.14.007.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს „არეკ"-ის მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6214528 18.11.2022წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ნაწილობრივ შეცვლილია სამშენებლო მასალა. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური და კაპიტალური კედლები. სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებით მოწყობილია ღიობები და ლიფტებისთვის განკუთვნილი შახტები. ნაწილობრივ შეცვლილია სამანქანე პანდუსების დახრა. შეცვლილია სამანქანე ადგილების სქემა და რაოდენობა. შეცვლილია ბინების რაოდენობა და შესაბამისად შეცვლილია კარების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის გეგმარება. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. „3-4" მონაკვეთში „ა-ბ' ღერძებს შორის ვიტრაჟს მონაცვლებილი აქვს ადგილი და მოწყობილია ამავე ღერძებში „4" ღერძზე, ამასთანავე ვიტრაჟის მიმდებარედ, აგრეთვე მოწყობილია კაპიტალური კედელი. „4" ღერძის გარეთ „ბ-გ" მონაკვეთში მოწყობილია კაპიტალური კედლები. „დ-ე" მონაკვეთში „1-2" ღერძებში არსებულ კედელში მონოლითურ კედელში გაჭრილია ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია სამშენებლო ბლოკის სისქე. გეგმა -6.00 ნიშნული: „გ" ღერძზე „1-2" მონაკვეთში კოლონებს შორის სივრცე შევსილია მონოლითური კედლით. გეგმა -3.00 ნიშნული: „გ-დ" მონაკვეთში „1-2" ღერძებში მოწყობილია ლიფტის შახტის ძირი. „ე-ზ" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კარი. გეგმა +0.00

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნიშნული: „ბ-გ" მონაკვეთში „4-5" ღერძებში მოწყობილია კიბე. „2-3" მონაკვეთში „ბ-გ" მონაკვეთში „2-5" ღერძებში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. „ბ-გ" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კარი. „დ-ე" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კარის ტიპი. „5" ღერძის მიმდებარედ „გ" ღერძზე მოწყობილია გამწოვი მილები. „4-5" მონაკვეთში „ბ" ღერძის მიმდებარედ არ არის მოწყობილი საპროექტო პერიმეტრის კედელი. „4-5" მონაკვეთში „ბ" ღერძზე გაუქმებულია კარის ღიობი. „ბ" ღერძის მიმდებარედ „4-5" მონაკვეთში მოწყობილია კარი. „4-5" მონაკვეთში „თ-ი" ღერძებში დამატებით მოწყობილია კოლონა. „ბ-ე" მონაკვეთში „4-5" ღერძებში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. „თ-კ" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ვიტრაჟი და მოწყობილია კედელი. „თ-ი" მონაკვეთში „4" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კიბის გაბარიტი. **გეგმა +12.00 ნიშნული:** „დ-ზ" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია მონოლითური სვეტები. „ე-ზ" მონაკვეთში „1" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კარი. **გეგმა +15.00 ნიშნული:** „დ-ე" მიმდებარედ „1" მონაკვეთში გაჭრილია ღიობი. „4-5" მონაკვეთში „ბ" ღერძის მიმდებარედ მოწყობილია აგურის კედელი, რის საფუძველზე მომატებულია ფართი. **გეგმა +18.30 ნიშნული:** „3-4" მონაკვეთში „ზ" ღერძზე ვიტრაჟში მოწყობილია კარი. „ა-ბ" მონაკვეთში „1" ღერძის გარეთ აივანზე მოწყობილია გამყოფი ტიხარი და ამავე მონაკვეთში „ბ" ღერძზე აივანზე არ არის მოწყობილი გამყოფი კედელი. **გეგმა +57.90 ნიშნული:** ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტი და რაოდენობა. პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი მონოლითური სარტყელით. შეცვლილია ლიფტის სამანქანო ოთახის გეგმარება (მცირედით გაზრდილია ფართი).

2024 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002728 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2024 წლის 16 დეკემბრის №10/01243511338-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს „არეკ"-ის მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა ოთარ ჭილაძე, №9, №01.10.14.007.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6214528 18.11.2022წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობაზე დაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს **„არეკ"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ოთარ ჭილაძე, №9, №01.10.14.007.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, პროექტის დარღვევით IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისთვის.

2. **შ.პ.ს „არეკ"-ის** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „არეკ"-ის** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 002728

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 19.12.2024 წ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ) 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „[illegible]" (ს/ნ 402202745) [illegible] [illegible] N113ე

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible] N9 (ს/კ 01.10.14.007.023)

შემოწმებით დადგინდა: [illegible] N9-ში (ს/კ 01.10.14.007.023) [illegible] 11.3 [illegible] 2022 წლის 18 [illegible] N6214528 [illegible]

[illegible] N002728 [illegible]
[illegible] ([illegible] 01 [illegible]).

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

[illegible]

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

[illegible] 25.12.2024

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 128–ე მუხლის 1–ლი ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

N002728 შემოწმების აქტის დანართი (დანართი: 01 (ერთი) ფურცელი)

ქ. თბილისი, ქუჩა ოთარ ჭილაძე N9-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ პროექტთან დაკავშირებით. (საკადასტრო კოდი N01.10.14.007.023)

დამკვეთი (მიწის მესაკუთრე): შპს „არეკ“ (ს/წ 402202745)

ობიექტის შემოწმების შედეგად დადგინდა

ნაწილობრივ შეცვლილია სამშენებლო მასალა. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური და კაპიტალური კედლები. სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებით მოწყობილია ღიობები და ლიფტებისთვის განკუთვნილი შახტები. ნაწილობრივ შეცვლილია სამანქანე პანდუსების დახრა. შეცვლილია სამანქანე ადგილების სქემა და რაოდენობა. შეცვლილია ბინების რაოდენობა და შესაბამისად შეცვლილია კარების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის გეგმარება. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. „3-4“ მონაკვეთში „ა-ბ’ ღერძებს შორის ვიტრაჟს მონაცვლებილი აქვს ადგილი და მოწყობილია ამავე ღერძებში „4“ ღერძზე, ამასთანავე ვიტრაჟის მიმდებარედ, აივანზე მოწყობილია კაპიტალური კედელი. „4“ ღერძის გარეთ „ბ-გ“ მონაკვეთში მოწყობილია კაპიტალური კედლები. „დ-ე“ მონაკვეთში „1-2“ ღერძებში კიბის უჯრედში მონოლითურ კედელში გაჭრილია ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია სამშენებლო ბლოკის სისქე.

გეგმა -6.00 ნიშნული: „გ“ ღერძზე „1-2“ მონაკვეთში კოლონებს შორის სივრცე შევსილია მონოლითური კედლით.

გეგმა -3.00 ნიშნული: „გ-დ“ მონაკვეთში „1-2“ ღერძებში მოწყობილია ლიფტის შახტის ძირი. „ე-ზ“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კარი.

გეგმა +0.00 ნიშნული: „ბ-გ“ მონაკვეთში „4-5“ ღერძებში მოწყობილია კიბე. „2-3“ მონაკვეთში „ბ-გ“ მონაკვეთში „2-5“ ღერძებში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. „ბ-გ“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კარი. „დ-ე“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კარის ტიპი. „5“ ღერძის მიმდებარედ „გ“ ღერძზე მოწყობილია გამწოვი მილები. „4-5“ მონაკვეთში „ბ“ ღერძის მიმდებარედ არ არის მოწყობილი საპროექტო პერიმეტრის კედელი. „4-5“ მონაკვეთში „ბ“ ღერძზე გაუქმებულია კარის ღიობი. „ბ“ ღერძის მიმდებარედ „4-5“ მონაკვეთში მოწყობილია კარი. „4-5“ მონაკვეთში „თ-ი“ ღერძებში დამატებით მოწყობილია კოლონა. „ბ-ე“ მონაკვეთში „4-5“ ღერძებში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. „თ-კ“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ვიტრაჟი და მოწყობილია კედელი. „თ-ი“ მონაკვეთში „4“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კიბის გაბარიტი.

გეგმა +12.00 ნიშნული: „დ-ზ“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია მონოლითური სვეტები. „ე-ზ“ მონაკვეთში „1“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კარი.

გეგმა +15.00 ნიშნული: „დ-ე“ მიმდებარედ „1“ მონაკვეთში გაჭრილია ღიობი. „4-5“ მონაკვეთში „ბ“ ღერძის მიმდებარედ მოწყობილია აგურის კედელი, რის საფუძველზე მომატებულია ფართი.

გეგმა +18.30 ნიშნული: „3-4“ მონაკვეთში „ზ“ ღერძზე ვიტრაჟში მოწყობილია კარი. „ა-ბ“ მონაკვეთში „1“ ღერძის გარეთ აივანზე მოწყობილია გამყოფი ტიხარი და ამავე მონაკვეთში „ბ“ ღერძზე აივანზე არ არის მოწყობილი გამყოფი კედელი.

გეგმა +57.90 ნიშნული: ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტი და რაოდენობა. პერიპეტრზე მოწყობილია პარაპეტი მონოლითური სარტყელით. შეცვლილია ლიფტის სამანქანო ოთახის გეგმარება (მცირედით გაზრდილია ფართი).

შეამოწმა: უფროსი სპეციალისტი ვ. გაგნიაშვილი

მითითების დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)